ტენდერი:
ქალაქ ქარელის საავადმყოფოს სარეკონსტრუქციო-სარემონტო და საინჟინრო სამუშაოების შესრულება

<u>სარჩევი</u>

1. ტენდერის მიზანი
2. შერჩევის პროცესის მიმდინარეობა
3. ტენდერით შესასყიდი საქონელის/მომსახურების სპეციფიკაციები
4. შერჩევის კრიტერიუმები და მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ
5. შემსყიდველის ვალდებულებები
6. კონტრაქტორის ვალდებულებები
7. დოკუმენტაცია / საშემსრულებლო ნახაზები
8. შესასრულებელი სამუშაოების ხარისხი
9. სატენდერო წინადადება
10. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია
11. კონფიდენციალურობა
12. სატენდერო წინადადების წარდგენა

ტენდერი:
ქალაქ ქარელის საავადმყოფოს სარეკონსტრუქციო-სარემონტო და საინჟინრო სამუშაოების შესრულება

1. ტენდერის მიზანი

სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი" („შემსყიდველი") პრეტენდენტებს სთავაზობს გამოცხადებულ ტენდერში „ქალაქ ქარელის საავადმყოფოს სარეკონსტრუქციო-სამშენებლო და საინჟინრო სამუშაოების შესრულება" მონაწილეობასა და წინადადების წარმოდგენას.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, პრეტენდენტს განემარტოს შემსყიდველის მოთხოვნები და პირობები სრულყოფილი სატენდერო წინადადების წარსადგენად.

ტენდერში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულებას გააფორმებს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" შვილობილი კომპანია შპს „ალიანს მედი".

2. შერჩევის პროცესის მიმდინარეობა

შერჩევა ჩატარდება შემდეგი განრიგით:

- პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2018 წლის 24 ივლისის დილის 11:00 საათისა.
- შემსყიდველი განიხილავს შემოსულ სატენდერო წინადადებებს და მოახდენს პრეტენდენტ/ებ/ის, წარმოდგენილი წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კომპანიის (შემდგომში „კონტრაქტორი") გამოვლენას, წინასწარ განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმების მიხედვით.
- საჭიროების შემთხვევაში, შერჩეულ პრეტენდენტ/ებ/თან ჩატარდება დამატებითი მოლაპარაკებები.
- საბოლოო ეტაპზე გამარჯვებულთან გაფორმდება ხელშეკრულება.
- ტენდერი განხორციელდება შემდეგ ვადებში:

| ტენდერის ეტაპები | ვადა |
|---|---|
| ტენდერის გამოცხადება | 17 ივლისი 2018 წ. |
| სატენდერო წინადადებების მიღება | 24 ივლისი 2018 წ. |
| გამარჯვებული პრეტენდენტ(ებ)ის გამოვლენა და შეტყობინების გაგზავნა | 27 ივლისი 2018 წ. |
| ხელშეკრულების გაფორმება | 01 აგვისტო 2018 წ. |

- შემსყიდველი იტოვებს უფლებას, ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შეაჩეროს, შეწყვიტოს ან/და გამოაცხადოს ახალი ტენდერი პრეტენდენტ/ებ/თან წინასწარი შეთანხმების გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ.
- ტენდერის შეჩერების / შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება იმავე საკომუნიკაციო არხით, რითიც განხორციელდება ტენდერის გამოცხადება.
- შემსყიდველი იტოვებს უფლებას, გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენამდე გააფართოვოს ან შეცვალოს მოთხოვნები გასაწევ მომსახურებასთან / შესყიდვასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება იმავე საკომომუნიკაციო არხით, რითიც განხორციელდება ტენდერის გამოცხადება.

3. ტენდერით შესასყიდი მომსახურების აღწერილობა / სპეციფიკაციები

შესყიდვის ობიექტი: შპს „ალიანს მედის" საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქარელში, ფანასკერტელის ქ. #30-ში მდებარე საავადმყოფოს სარეკონსტრუქციო-სარემონტო და ასევე, ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი საინჟინრო სამუშაოები:

- ელექტრობა
- წყალ-კანალიზაცია
- გათბობა
- ვენტილაცია-კონდიცირება
- სამედიცინო აირები

- კომპიუტერული ქსელი
- სატელეფონო ქსელი
- ვიდეომეთვალყურეობის ქსელი

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია დანართი #1-ის სახით. სამუშაოთა ჩამონათვალი განსაზღვრულია დანართში #5 - ხარჯთაღრიცხვა. ამასთან, აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულება უნდა მოიცავდეს ყველა აუცილებელი მასალისა და მანქანა-მექანიზმების ღირებულებასაც.

საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებულია შპს „აპექს სტუდიო 1“-ის მიერ.

სატენდერო წინადადება მომზადებულ უნდა იქნას დანართ #5-ში განსაზღვრული მოცულობების მიხედვით.

სრული სარეკონსტრუქციო-სარემონტო ფართი შეადგენს 1,555 მ/კვ.

სამუშაოების დასრულების მაქსიმალურ ვადად განსაზღვრულია 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან.

სამუშაოების დაწყების საორიენტაციო თარიღი: არაუგვიანეს 2018 წლის 5 აგვისტოსი.

**4. შერჩევის კრიტერიუმები და მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ**

- კონტრაქტორის შერჩევა მოხდება შემსყიდველის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და პრეტენდენტის მეირ წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის გათვალისწინებით.
- მიუხედავად შემსყიდველის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებისა, პრეტენდენტი არ არის უფლებამოსილი ნებისმიერი მატერიალური დანახარჯის ან/და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, რაც მას შეიძლება მიადგეს ტენდერში მონაწილეობით, წარსადგენი სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებით, ან/და იმ მოქმედების განსახორციელებლად, რომელიც აუცილებელია მისი მიერ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.
- სატენდერო წინადადების განხილვა მოხდება მხოლოდ სრულყოფილად წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირობებში.
- ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ იმ იურიდიულ პირებს, რომელთა წლიურმა ბრუნვამ ბოლო დასრულებული საგადასახადო წლის მანძილზე შეადგინა არანაკლებ 1,500,000 ლარი.

**სატენდერო წინადადებები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:**

- სამუშაოების შესრულების ფასი
- შესრულების ვადები
- საგარანტიო პირობები
- კომპანიის გამოცდილება / სანდოობა / სტაბილურობა
- საკვალიფიკაციო მონაცემების სრულყოფილება

**5. შემსყიდველის ვალდებულებები**

შემსყიდველის ვალდებულებებია:

- სამშენებლო მოედნის გადაცემა კონტრაქტორისათვის;
- სამშენებლო ნებართვის მოპოვება შესაბამისი კომპეტენტური ორიგანოებისაგან;
- დამთავრებული სამუშაოების შემოწმება, აღრიცხვა და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოთა აზომვის პრინციპით.

6. **კონტრაქტორის ვალდებულებები**

კონტრაქტორის ვალდებულებებია:

- ხელშეკრულებითა და წინამდებარე ტენდერით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტებით განსაზღრული პირობების/ვალდებულებების განუხრელი დაცვა და შესრულება;
- სატენდერო დოკუმენტებისა და სამშენებლო უბნის შემოწმება
  *(ხელშეკრულების ხელმოწერამდე კონტრაქტორი ვალდებულია შეამოწმოს სამშენებლო ობიექტი, გაეცნოს სამშენებლო უბნის ზოგად მდგომარეობას, არსებულ ან/და მომიჯნავე შენობა-ნაგებობებს და შეაგროვოს ყველა ინფორმაცია, რაც საჭიროა სამშენებლო სამუშაოების სწორი დაგეგმარების, გაანგარიშებისა და განფასებისთვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტებშია მოთხოვნილი. თუ მის მიერ ჩატარებული შესწავლა გამოავლენს, რომ სამუშაოთა მოცემულობა საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებსა ან/და დამატებებს, ამ საკითხების ნუსხა ხელშეკრულების ხელმოწერამდე უნდა იქნას წარმოდგენილი და შეთანხმებული შემსყიდველთან);*
- ხელშეკრულების გაფორმებამდე კონტრაქტორი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს სამუშაოების შესრულების დეტალური გეგმა-გრაფიკი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულების პირობებთან და სატენდერო მოთხოვნებთან და რომელიც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი გახდება.

7. **დოკუმენტაცია / საშემსრულებლო ნახაზები**

ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთვის კონტრაქტორმა უნდა მოამზადოს შემდეგი დოკუმენტები:

- დოკუმენტაცია გამოყენებული მასალების შესახებ;
- საშემსრულებლო ნახაზები, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იქნას მარკირებული და აკინძული ეგზემპლარის სახით და ასევე ციფრულ ფორმატში (PDF და DWG ფაილები).

8. **შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი**

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას მაღალი ხარისხით და უნდა შეესაბამებოდეს, როგორც საქართველოში მოქმედ ხარისხის სტანდარტებს, ასევე, არქიტექტურულ და ტექნიკურ ნორმებსა და დადგენილ რეგულაციებს, ასევე, საერთაშორისოდ აღიარებულ ხარისხის ნორმებსა და სტანდარტებს.

9. **სატენდერო წინადადება**

(ა) სატენდერო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას/ინფორმაციას:

1. პრეტენდენტი იურიდიული პირის განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ პრეტენდენტის წინააღმდეგ არ მიმდინარეობს სამართალწარმოება;
3. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
4. ცნობა, რომ არ მიმდინარეობს პრეტენდენტის მიმართ რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია და/ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
5. ბოლო 1 (ერთი) დასრულებული საგადასახადო წლის ბალანსი და მოგება-ზარალის უწყისი;
6. ცნობა შემოსავლების სამსახურიდან მომსახურე ბანკების ჩამონათვალით;
7. ცნობა მომსახურე ბანკებიდან ვადაგადაცილებული დავალიანებების არ ქონის შესახებ;
8. ცნობა ბანკიდან პრეტენდენტის სახელზე საავანსო გადახდის (თუ ასეთი შემოთავაზებული იქნა პრეტენდენტის მიერ) უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გაცემის მზაობაზე;
9. ცნობა ბანკიდან პრეტენდენტის სახელზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის (სახელშეკრულებო თანხის არანაკლებ 10%-ზე) გაცემის მზაობაზე;
10. ქვეკონტრაქტორების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

11. შესრულებული პროექტების ჩამონათვალი, მსგავსი პროფილის სამუშაოებზე აქცენტირებით, სამუშაოს განხორციელების ვადებისა და ბიუჯეტების მითითებით;
12. მინიმუმ სამი სარეკომენდაციო წერილი;
13. ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ, შევსებული დანართ #2-ში მითითებული სახით;
14. კონფიდენციალურობაზე შეთანხმების პრეტენდენტის მხრიდან ხელმოწერილი ვერსია (შეთანხმება თან ერთვის დანართი #3-ს სახით);
15. პრეტენდენტის მიერ ხელმოწერილი აფიდავიტი - აფიდავიტი მოცემულია დანართი #4-ს სახით;
16. შევსებული და ხელმოწერილი ხარჯთაღრიცხვა ლარში - მოცემული და დადგენილი დანართი #5-ს სახით; ასევე ელექტრონული ფაილი ექსელის ფორმატში;
17. მის საკუთრებაში არსებული სამშენებლო ტექნიკის დეტალური ჩამონათვალი.

პრეტენდენტის მიერ მომზადებული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დოკუმენტაციის მომზადების თარიღი წინ არ უნდა უსწრებდეს სატენდერო დოკუმენტების წარდგენის თარიღს 5 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით.

<u>პრეტენდენტი სატენდერო წინადადების წარმოდგენით ადასტურებს, რომ (ა) იგი გაეცნო დანართი #6-ს სახით წარმოდგენილ ნარდობის ხელშეკრულების ნიმუშს, რომლის გაფორმებაც მოხდება გამარჯვებულ პრეტენდენტთან და თანახმაა აღნიშნული რედაქციის გაფორმებაზე; (ბ) იგი გაეცნო დანართი #7-ს სახით წარმოდგენილ კონტრაქტორების მართვის წესს და თანახმაა, რომ აღნიშნული დოკუმენტი გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და გ) მისთვის ცნობილია, რომ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ აქვს უფლება, გაზარდოს სახელშეკრულებო ფას/ებ/ი ან სხვაგვარად გააუარესოს შემსყიდველის მდგომარეობა.</u>

(ბ) დამატებითი მოთხოვნები (ასეთის არსებობისას):

- შემოთავაზება ჩილერისა და აჰუს დანადგარებზე.
- სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფი საბანკო გარანტიის წარმოდგენა სატენდერო ფასის ჯამური ღირებულების 2%-ს ოდენობით.
- იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის პროცესში ადგილი ექნება საავანსო გადახდის მოთხოვნას, გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებისათვის სავალდებულო პირობაა, ავანსის უზრუნველსაყოფი საბანკო გარანტიის წარმოდგენა შემსყიდველისათვის, გაცემული ამ უკანასკნელისათვის მისაღები ფინანსური ინსტიტუტის მიერ.
- ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფი საბანკო გარანტიის წარმოდგენა (სახელშეკრულების თანხის არანაკლებ 10%-ზე), ხელშეკრულების ხელმოწერამდე.

## 10. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია

შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია თუ:

1. პრეტენდენტი ირიცხება მოვალეთა რეესტრში;
2. პრეტენდენტის ქონებაზე რეგისტრირებულია საგადასახადო ან სხვგაგვარი გირავნობა/იპოთეკა/შეზღუდვა;
3. მიმდინარეობს პრეტენდენტის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
4. სატენდერო განაცხადით მოთხოვნილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია:
   - სრულად არ იქნება წარმოდგენილი;
   - არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს;
   - არ შეესაბამება სინამდვილეს;
   - ყალბია.

5. არსებობს სხვა ობიექტური გარმოება, რომელიც შეუძლებელს ხდის პრეტენდენტის შემდგომ მონაწილეობას ტენდერში.

## 11. კონფიდენციალურობა

პრეტენდენტი პასუხისმგებელია შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როგორც შერჩევის პროცესის მსვლელობის, ასევე, მისი დასრულების შემდეგაც, მიუხედავად ტენდერის შედეგებისა.

## 12. სატენდერო წინადადების წარდგენა

სატენდერო წინადადებების წარდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად, www.tenders.ge-ზე, დახურული კონვერტის პრინციპით.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2018 წლის 24 ივლისის 11:00 საათისა.

შერჩევის პროცესის მსვლელობისას პრეტენდენტებს უფლება აქვთ მოითხოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის ან კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: Evex_Purchasing@evex.ge.

ობიექტზე ვიზიტის თარიღი და დრო წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველის წარმომადგენელთან, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგია: გიორგი მეტრეველი - ელ. ფოსტა: gi.metreveli@evex.ge; მობ.: +995 577556547.